



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
დადგენილება №20  
26 ივნისი 2017 წ.

ქ. მარნეული

**„მშენებლობის, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების და სათამაშო ბიზნესის ადგილობრივი მოსაკრებლების განაკვეთების განსაზღვრის და შესაბამისი ინსტრუქციების დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის №2/3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტის, „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის და „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 3 თებერვლის №2/3 დადგენილების (სსმ, ვებგვერდი, სარეგ. კოდი 210020010.35.159.016024) მე-18 მუხლში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 18. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი**

სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი განისაზღვროს:

- ა) თითოეულ სამორინე მაგიდაზე - კვარტალში 35 000 ლარი;
- ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე - კვარტალში 2 100 ლარი;
- გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე - საპრიზო ფონდის 10%;
- დ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობაზე - კვარტალში 250 000 ლარი;
- ე) ლატარიების მოწყობაზე - ლატარიის ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების 20%;
- ვ) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე - კვარტალში 10 000 ლარი;
- ზ) თითოეული კლუბის მაგიდაზე - კვარტალში 9 000 ლარი.“

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2017 წლის 01 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაბი აბდულაევი